რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თ. ი. მუხრანსკის სახლში ზ. კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროებისა“ რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის (გვრინდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“.

„დროების“ ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| მთელის წლისა | 9 მან. | სამის თვისა | 3 მან. |
| ექვსის თვისა | 5 მან. | ერთის თვისა | 1 მან. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

ერთის სტრიქონი, სტრიქონზე 1 კაპ. ... სტრიქონზე ნახევარი კაპ., ნაუკლებ ... სტრიქონზე 8 კაპ.

თუ ხელნაწერებს მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკანვე გერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა“ დირს ერთი შაური.


მცხეთობის დღესასწაულის გამო, შემდეგი ნომერი „დროებისა“ გამოვა კვირას, 3 ღვინობისთვეს.


საწერი

## დედანი

შედგენილი და გამოცემული პეტ. უმიკაშვილისაგან. ტფილისი 1878 წ.

ფასი სამი კაპეიკი

საწერის ქაღალდის მეოთხედ თაბახზედ, შეიცავს ხუთს სავარჯიშო მაგალითს: 1) ანბანის დედანს მგრგვალი ხელის; 2, მგრგვალი მგრგვალი ხელით წიგნიდამ გად-მოწერილსას; 3) ანბანის გამომუშავებისას; 4) დედანს (იგივე ... მხედრული ხელით) გამოწერილს მისჭერილისათვის; 5) ... სასწავლო მაგალითს საწერი ... სახელმძღვანელოთ ... განმარტებისას.

იყიდება გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში კუკიის ხიდთან და ცენტრალურ წიგნის მაღაზიაში, ოკრუჟნოი სუდის წინ.

ასის და მეტის ეგზემპლ. მსურველს შეუძლია შემდგენელისაგან დაიბაროს და გაგზავნის ხარჯი არ დასჭირდება.


## ტელეგრამა

(„სამხრეთ-რუსეთის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

პეტერბურღი, 29 ენკენისთვეს. რუმინიაში და სერბიაში ფილოქსერა აჩნდა. ამ ქვეყნებიდამ ყურძნის შემოტანა აღკრძალულია.

1883 წლისათვის შემდეგ დაწესებულებას დაენიშნა ხაზინიდამ სუბსიდია (ფულით შემწეობა) კავკასიაში: ბოსტანობის აღმადგინებელ საზოგადოებას—17,750 მან., საქალებო ინსტიტუტს—15,000 მან., ტფ. საქალებო გიმნაზიებს—7,000, ტფილისის თეატრს—42,195, სამეურნეო საზოგადოებას—6,000, წმ. ნინოს საქალებო გიმნაზიას—7,860, გეოგრაფიულ საზოგადოების განყოფილებას—2,000, მედიცინის საზოგადოებას—2,300, ტეხნიკურ საზოგადოებას—1,100, აკლიმატიზაციის საზოგადოებას—1,200, ტფ. ფერშლის სკოლას—6,998, გაზეთ „კავკაზს“—2,000, ოსეთის სამრევლო სკოლებისათვის—1,000 მან.

დამტკიცდა წესდება მართლ მადიდებელ პალესტინის საზოგადოებისა.

## საქართველოს საეკლესიო საქმეები.

ტფილისი, 30 ენკენისთვეს.

ამ რამდენსამე დღეში საქართველოს ახალი ეგზარხოსი ჩამოვა ჩვენში. ეს გარემოება უნდა მივიღოთ მხედველობაში და რამდენიმე აზრი გამოვთქვათ საეკლესიო საქმეების შესახებ. ჩვენის გაზეთის მკითხველებმა კარგა იციან რა-და-რა საგანია ყურადღების მისაქცევი თუ სამღვდელოთაგან და თუ საერო კაცთაგან, საეკლესიო საქმეების გასაუმჯობესებელი, და ამისათვის ვეცდებით გარკვევით და მოკლეთ გამოვთქვათ საქართველოს საეკლესიო უმთავრესი საჭიროებანი: ეს ჩვენც უნდა კარგათ ვიცოდეთ და სხვასაც უნდა გარკვევით ვაცოდინოთ.

ყველასთვის ცხადია, რომ საქართველოს ეკლესიის საქმეები დაცემულს მდგომარეობაშია. სამღვდელოება მრავალის მიზეზებისაგან აღარ ითვლება ხალხის მოძღვრად და კეთილის მაგალითის მიმცემად; მრევლი იმათგან და ეკლესიებისაგან თან-და-თან ხელს იღებს, რადგან არასფერს აღარა ხედავს მათგან თავის ზნეობითის შემწეობისთვის. დარჩენილა მხოლოდ გარეგანი კავშირი: მღვდელი ასრულებს მღვდელ-მოქმედებას და ხალხი აძლევს კოდის პურსა და რიგის გადასახადსა.

სწავლა-განათლება სამღვდელოებისა ისე არასდროს არ ყოფილა მცირე და სრულიად დაცემული, როგორც ახლაა. ათს თითზე მომატებული არცკი იქნება სემინარიაში დასრულებული; აკადემიკოსი ორ-სამს გარდა აღარ არიან; საეპისკოპოზო კანდიდატები არხიმანდრიტები უსწავლელნი არიან.

სწავლება სასულიერო სასწავლებელ-სემინარიაში ზეპირ-სწავლაზეა დამყარებული; მოსწავლეებს გონებას ულაყებს უცხო ენების სწავლება; და დედა-ენის გაუქმება სთესავს ახალ მოსწავლეებში გარყვნილს აზრებს, შეურაცხყოფას ყოველსავე მშობლიურზე და დედეულ-მამულისაზე, ნათესაობრივზე და თავის თვის-ტომ ხალხზე; სპობს ყოველსავე კავშირს მომავალ მღვდელსა და მრევლს შორის.

ცხადია, რომ დაეცა სამღვდელოება და ამიტომ აღარა ვხედავთ იმ ღირსეულ მამებს, რომელნიც არამც თუ საეკლესიო საქმეებში, საროშიაც მაგალითნი იყვნენ თავისის განათლებით, ზნეობით და ყოველ მოქმედებით.

ეხლანდელი ჩვენი სამღვდელოება არც საზოგადოებისაგან, არც გლეხობისაგან პატივ-ცემაში აღარ არის. სამღვდელოებას ყურებენ სიძულვილით. უკანასკნელ ხანებში მღვდელ-მოქმედებას აღარც კი სთხოვენ გლეხები. მარტო თუ ანათვლინებენ ყმაწვილებს; შემთხვევაც ყოფილა, რომ უნათლავი შეუნახავთ; ჯვარს აღარ იწერენ, მკვდარს უმღვდლოთ მარხვენ და ბოლოს მალაკნობაზედაც გადადიან.

რუსეთში არ იქნება ისე დაცემული სამღვდელოება როგორც ჩვენში. იქაც ბევრს ლაპარაკობენ და ამ ორიოდ წელს სხვა-და-სხვა ღონისძიებაზედაც იყო რუსულ ჟურნალ-გაზეთობაში ლაპარაკი; სხვათა შორის იმაზე, რომ რუსეთში მოსკოვის კათოლიკოზობა განახლდესო; ეს დიდი ღონის-ძიება იქნება სამღვდელოების აღდგენისათვისაო.

ჩვენში, როგორც სამღვდელოებაში, აგრეთვე ერშიაც ეს აზრია, რომ, სანამ საქართველოში ძველი მცხეთის დამოუკიდებელი კათოლიკოზობა არ განახლდება, ძველისავე ქართველობის ამორჩევის წესით, მანამდის საქართველოს სამღვდელოებას არა ეშველება-რაო. ამ აზრს ბევრი საფუძველი აქვს და უფრო მომატებული, ვიდრე რუსეთის პატრიარქობის განახლებასა. უპირველესი ის არის, რომ საქართველო მუსულმანების ხალხით არის შემოცული გარეშემო; ამასთან ერთათ შეერთებულია ისიც, რომ ძველი წესების უკეთესი მხარეები უნდა დაცულიყოს საქარრველოს ეკკლესიაში. ამის მიხედვით ქართულს ენას როგორც ღლევანდ ლამდე უუფლნია ეკკლესიაში, აგრეთვე უნდა დარჩეს თვით ეკკლესიაშიაც და საეკკლესიო სასწავლებლებში და სემინარიებში.

ის არჩევის უფლება, რომელიც სა-

---

«დროების» ფელეტონი, 1 ოკტომბ.

### ვაი და ვუი!

(შენიშვნები თანამედროვე დროების მდინარეობაზედ.

ვაი და ვუი! ვუი და ვაი! აი ნამდვილი გამოთქმა, სიტყვები, სადაც ...ება ჩვენი თანამედროვე ცხოვრება—სიცოცხლე.

მეცხრამეტე საუკუნემაც ვერ შეგველა, ვერ მოგვაცილა ვაი და ვუი! ...ურ მანანასავე შეჰყურებთ რა...ზე გარდმო—წყალობას, პირი დაღია, ენა გაგვშეშებია, თვალები ...ჭყეტია, ხელ-ფეხი შეგვიბო...

რისხვაა ჩვენ თავზედ,—რისხვა!

ოდესღაც რასაც ვგმობდით, ქვეყნისთვის სავნოდ მიგვაჩნდა, დღეს მას გულ-გრილად შევსცქერით და უფრო ხშირად ვიხუტებთ გულში, ვეფუფუნებით.—იქნება ამით გავაკადნიეროთ და მეტი ვნება მოგვცეს არა?! დიაღ, სწორედ ესეა!

საწალმართო მოვლენანი ათობით თუ დაითვლება ჩვენში, საუკულმართოჲ-კი ათასობით!

აბა, დავიწყოთ მოთხრობა საუკულმართო მოვლინებებზედ.

კაცი სულია:—„ტანი უსულოდ მკვდარ-არს“. სული წმიდა, კეთილი უნდა გვქონდეს, რომ საქმენიც წმიდა და კეთილი ჩავიდინოთ. რადგან ადამიანი ცოდვილია, უფრო მალე ეწევა უკულმართ გზას, ვინემ წალმართს, ამიტომაც ჰყავს მას გვერდით მწყემსი, მოძღვარი, რომელიც გზად კეთილსა უნდა აყენებდეს მას.

ჩვენი სასულიერო წოდების ზოგიერთნი წარმომადგენელნი თვით გამხდარან გზად კეთილისა დასაყენებელი და, აბა, სამწყსოს ვით ? არ თვან თავი! ზამეასებად მიგვაჩნია მის თქმა, რომ ჩვენი სასულიერო ...ესნი რიგისებრ ვერ იქცევიან. ორი კაკალი გაზეთი გაგვაჩნია; შეუძლებელია მუდამ ჩვენ სულიერ მამებზედ არ შევხდეთ ამათში ჩივილს.

— გვიშველეთ, გაგვექცა მოძღვარი! უწირვა-ლოცვოდ ვართ!

— გვიხსენით ჩვენის მოძღვრისაგან—ცოცხალს ზიარება, მკვდარს დასაფლავება აღარ აღირსა!...

და ათასი ამ გვარები არა ერთხელ გვსმენია. წაგვიკითხავს ჩვენს სულიერ მამებზე.

ეხლა, რა ვქნათ! ესე უნდა გაგრძელდეს ამ გვარი ერის დამახინჯებულები მოვლენანი? ზოგნი გაიძახიან: უცხო არის მწყემსთ-მთავარიო, უძნელდება ქვეყნის ამ გვარის სენის მიგნება და მისი ამოფხვრაო. მათგან არ მიკვირს! რას ბრძანებთ! „ზული გულობდეს,— ქადა ორივე ხელით იჭმევა!“ ვინ ამბობს,—კარგია ჩვენი კაცი იყოს ამ საქმის წინამძღოლი—უფრო გვიცნობს. მაგრამ, გული რომ გულობდეს, წინანდელები, არა ჩვენთაგანნი რომ ხუთ-ექვს და მეტ წლობით იყვნენ მწყემსთ-მთავრებად, ამ ხანში ვერ მიაგნებდნენ ჩვენი ქვეყნის სენოა, არ შეეძლოთ განა გავეცანით, კეთილი ებოძათ და ბოროტი განედევნათ? შეეძლოთ, მაგრამ.... ის კი არა და, ერთმა ამათგანმა ზომაზედ გადააბიჯა, ვითომ მეტის ერთგულებით და ჩვენი მომავალი დედების „გამრუსებელი“ სკოლაც დააარსა, იმ

მღვდელოსა ჰქონდა ამ უკანასკნელ წლებამდე, ისევ უნდა ჰქონდეს, საეკლესიო მმართველობაში (ბლაღოჩინების ამორჩევაში) და სასწავლებლების მასწავლებელთ, ზედამხედველთ და მართველობის დანიშვნაში.

სოფლის სამღვდელოებას უნდა დაენიშნოს ჯამაგირები და მოისპოს ყოველივე გადასახადი მღვდელ-მოქმედებისათვის, ყოველივე კოდის პური და ქერი. ერთის სიტყვით, არავითარი ურთიერთობა აღარ იყოს ნივთიერის მხრით მღვდელსა და ხალხს შორის.

აი უმთავრესი აზრები, რომელიც საქართველოს სამღვდელოებაში და ერში არის გავრცელებული და რომელიც ღონის-ძიებათ ჰგონიათ სამღვდელოების ამაღლებისათვის და საეკლესიო საქმეების რიგიანად წაყვანისათვის.

არ შეიძლება ვგონებთ უარის თქმა, რომ ამაში ან რაიმე ძნელი ასასრულებელი იყოს ან ტყუილი.

მაგალითი გვერდით გახლავს: სომხის კათოლიკოზობამ აამაღლა სომხის ეკლესია იმ ბრწყინვალებამდე, რომელშიაც იგი სდგას: ეპისკოპოზნი და ბერნი არიან აკადემიების და უნივერსიტეტის დოქტორები და მაგისტრები, სამღვდელონი აგრეთვე მაღალ და საშუალო სასწავლებელთაგან გამოსულნი; ეკლესიები კარგის სკოლებით გარს შემორტყმულნი; ერი და მრევლი მადრიელი და მკვიდრათ მათთან შეკავშირებული, და ყოველივე ესე უფანატიზმოთ, მშვიდათ, როგორც კი შეუძლია ქადილი უგანათლებულესს ევროპიის ერსა და განათლებულს მისს სამღვდელოსა. სომხის ეკლესია ღვივის, ცოცხალია, როდესაც რომ იმას გვერდით საქართველოს ეკლესია თხუთმეტს საუკუნეს მებრძოლე ქრისტეს მტრებთან, ცოცხალი თვით და სიცოცხლის შთამბერველი, დღეს სულ მობრძავია, თუ არ ვიტყვით, რომ მომკვდარაო.

## დღიური

ჩვენ შევიტყეთ, რომ დღეს, სხვათა შორის, მთავარ-მმართებელი თ. დონდუკოვ-კორსაკოვიც მიბრძანდება ტფილისიდამ მცხეთის დღესასწაულზე; იქ სადილს გაუმართავს ახლად-ჩამოსულს საქართველოს ეგზარხოსს მაღალ ყოვლად-სამღვდელოს პავლეს და სალამოს ორივე ერთად დაბრუნდებიან ისევ ქალაქშიო.

* * *

გუშინდელი ქართული წარმოდგენა სწორედ გულ-შემაწუხებელი რამ იყო. ჯერ თვითონ პიესა აერჩიათ ისეთი, რომლითაც სეზონის დაწყება სირცხვილია და მერე მოთამაშეების ყურებამ სულ შეგვაწუხა. ან როგორი წარმოდგენა უნდა ყოფილიყო ის წარმოდგენა, რომელშიაც „ძლიერი დრამმატიული როლი“ ენდრონიკოვის ქალს ჰქონდა და დარბაისელი ქართველი თავადიშვილის როლი ბ. ნ. ჯორჯაძეს! ამას დაუმატეთ ისიც, რომ თითქმის არც ერთმა მოთამაშეთაგანმა (გარდა ბ. ვ. აბაშიძისა, რომელმანც თავის თამაშით გააცხოველა პიესა) თავის როლი არ იცოდა და ყველანი სუფლიორის ბუდკას შესჩერებოდნენ, საიდამაც მოწყალებას მოელოდნენ. ღმერთმანი, ვერ გაგვიგია, ეს რაღა უბედურებაა, რომ როლების სწავლას ვერ შეეჩვიენ ეს ჩვენი აქტიორები! ვერ გაგვიგია—თავის თავს იგდებენ ამით ისინი სამასხროდ და სასაცილოდ, თუ საზოგადოებას?

* * *

ყვირილიდამ გვწერენ, რომ ეს რამდენი ხანია ჩაიმტვრა და დაიშალა ჩვენი ხიდი და დღემდინ იმის განახლებას ვერ ველირსეთო. ამ ხიდის გაკეთება ბ. ინჟინერს ზეზემანს ჰქონია მინდობილი, ორი ათასი თუმანი კიდეც ამოუღია, ამ ღვინობისთვის პირველისათვის უნდა დაემზადებინა, მაგრამ ჯერ მასალებიც არ მოუტანია და კეთებასაც არ შესდგომია თურმე! მცხოვრებლებს საჩივარი შეუტანიათ მთავარ-სამმართველოში, მაგრამ ჯერ ამის პასუხსაც ვერ ღირსებიან.

* * *

ტფ. გუბერნიის სატუსაღოსთან გასამართავ ბიბლიოთეკის სასარგებლოდ ჩვენ მივიღეთ გუბერნიის არხიტექტორის ბ. აბესალომოვის მეუღლისაგან 73 სხვა-და-სხვა წიგნები რუსულს ენაზედ. მადლობა კეთილ საქმის თანაგრძნობით დახმარებისათვის...

* * *

სოფ. ქედის (აჭარის მაზრის) მცხოვრებნი სჩივიან ადგილობრივ ტელეგრაფის სტანციის უფროსზე: მთელი სოფელი შეშინებული და დაფთხობილი ჰყავსო; ვისაც უნდა გაუგზავნის დეპეშას და ვისაც არა, არაო. კაცს ხმა ვერ გაუცია, საშინელ ყვირილსა და ფეხების ბრახუნს დაიწყებს და გარეთ გამოგვაგდებს თავის ქოხიდამ, რომელსაც ტელეგრაფის სტანციას ეძახისო. ორი უშველებელი ნაგაზი ძაღლი ჰყავს; ისეთი ავ-გული არიან, რომ ახლოს ვერ ეკარება კაცი ამ სტანციას, იმწამსვე დაჰგლეჯენო და სხვ.

* * *

ფოთის ბუხტის მცხოვრებნი თავიანთ პოლიციის პრისტავს უჩივიან, ხშირი ქურდობა არის ჩვენს უბანშიო, ბევრი უწესოებაც ხდებაო, მაგრამ, თუ განსაკუთრებული რამ შემთხვევა არ მოხდა, პრისტავი ყურადღებას არ აქცევსო.

* * *

ყვირილიდამ შემდეგ ამბავს გვწერენ:

ყვირილაში სცხოვრებს ერთი ნასალდათევის იმერელი ქალი ქვრივი, რომელსაც არავითარი ქონება არა ჰქონდა, მაგრამ ისე ლამაზათ გაიწყო სახლ-კარობა, რომ ბევრს მამულიანსაც არა აქვს იმდენი ქონება. ამ ქალის ოჯახში ხშირათ ბევრი „კეთილშობილნიც“ გიახლებოდნენ ხოლმე. მამაკაცი ამ ოჯახში სრულებით არავინ არის. ამ ქვრივ დედაკაცს ჰყავს აყვანილი ვიღაცა გლეხი-კაცის ქალები, რომელიც ჰპირდება გათხოვებას. ამ ცოტა ხანში ამის სახლში ბავში დაბადებია ერთ გოგოს. ამ გოგოსთვის ეს ბავში ძალით მოუტაცნია ამ ნასალდათევის ქვრივს, ერთი გოგო წაუყვანია და ყვირილის სტანციიდამ ბექათუბნის სტანციაში წაუყვანია ღამის პოეზდით. აქ [illegible] ფეხის-ადგილში ჩაგდება ბავშისა და პოეზდით უკან დაბრუნება. როდესაც შეიყვანეს თურმე ბავში ფეხის-ადგილში, კაცები მისულან ამ დროს და ჩაგდება ველარ მოუსწრია და შიგ ფეხის-ადგილში პოლზე დაუგდია. ამ დროს ერთი კაცი მისულა და უნახავს ეს ბავში; მაშინვე შეუტყობინებია ჟანდარმისათვის. ჟანდარმს მოუხდენია განკარგულება და ეს ქალები დაუჭერია, რადგან მათზე აულიათ ეჭვი. ქალებს ჯერ უარი უთქვამს, მაგრამ ბოლოს გამოტეხილან, რომ ბავში ჩვენ მოვიყვანეთ, ფეხის-ადგილში შევედით და რადგან სხვებიც მოვიდნენ შევვეშინდა და ბავში დაგვრჩა შიგო.

„ეს ქალები ორივე ჟანდარმმა ჩამოიყვანა დღეს ყვირილაში. ბავში კი სხვას წაუყვანია გასაზრდელათ. ადგილობრივმა პოლიციამ ხელში მისცა გამომძიებელს დამნაშავე და ვნახოთ რა გამოვა.

„ამ დედაკაცის ოჯახი ყველამ იცის ყვირილაში და ყურადღება უნდა მიაქციონ იმ „პატიოსან მანდილოსნებს“, რომელნიც ხშირად ამ დედაკაცის ოჯახში დაბრძანდებიან!...“

* * *

ჩვენ მივიღეთ ერთის სოფლის მღვდლისაგან შემდეგი შენიშვნა:

„სწორედ ისეა სოფლის სამღვდელოების საქმე, როგორც ახლად-გამდიდრებულს კაცს თავისის მეზობლისათვის რომ ქალი უთხოვნია, მაგრამ რადგანაც მისაცემად არ ნდომებია და მიუცემლობისათვის გადამტერებისა ჰშინებია, ამისათვის უთქვამს: —მე შენ ქალს არ დაგიჭერ, მხოლოდ ერთს წელიწადს მთხოვრად იარეო; იმასაც, რასაკვირველია, უვლია ერთს წელიწადს მთხოვრათ; წლის დასრულებაზედ რომ ქალი კიდევ უთხოვნია, უთქვამს:—ახლა ნუღარ ივლიო. ქალის მთხოვნელი გამწყრალა: ძლივს ვისწავლე მთხოვრობა და ახლა როგორღა გადავეჩვიოვო?? და მით მორჩენილა ქალის პატრონი მასზედ გათხოვებას.

მთავრობამ მოარჩინა სოფლის სამ-

---

დედებისა, რომელთაც მომავალ შვილებს ჩვენის ბედ-შავი ქვეყნისა ტკბილი ქართული „ნანინა“ უნდა ჩასძახონ აკვანში....

—

„სულის საქმიდგან გონების საქმეზედ“ გადვიდეთ. აი ნამდვილი „ვაის“ გავეყარე და „ვუის“ შევეყარე აქ არის!

თქვენი ჭირიმეთ, ე რა რიგი ხელმძღვანელნი ჰყავთ ჩვენი ქვეყნის მომავალ იმედთ!

იმ დღეს არ იყო, სასამართლოში ირჩეოდა საქმე ერთი სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველისა და ამავე სასწავლებლის შაგირდისა. შაგირდმა შვინდის კომბალი უთავაზა ბ-ნ ზედამხედველს ყურმალში და გუშინ რომ ცუდად ახსნილი გაკვეთილის გაუგებლობისთვის ამუხლისთავებდენ შაგირდს სკოლაში, დღეს თვით ზედამხედველი დაამუხლისთავა ამ შაგირდმა ისეთ-ისეთი მოსცხო! აფერუმ ზედამხედველო! აფერუმ ყრმათა გონების განმავითარებელს!

დღეს ბ-ნი ზედამხედველი მთელის კოლლეგიით დაიარაღებული დადის, თითქო ლეკობა, თითქო თემურლენგობა იყოს.

ამ გვარის უფროსების ხელში ეკვლევათ გზა ჩვენი ქვეყნის ღარიბების შვილებს, რომელთაც, უფეხ-საცმლობის გამო, ზამთარ-სიცივე და ზაფხულ პაპანაქება სწვავს ფეხებს, რომელნიც თვისის ხელით იმზადებენ მჭადსა და ლობიოს სხნილში თუ მარხვაში და უფრო ხშირად მშივრებიც ჰყრიან.

აი, რა მდგომარეობაში მყოფ ყრმათა უხშვენ გზას, თავიანთი გონების სიბრმის გამო, უბრმავებენ გონებას და შემდეგ ჰყრიან სასწავლებლიდგან.

ვის არ სმენია, რა გულ-გრილად სარგებლობენ ჩვენი სასწავლებლების ზოგიერთი მასწავლებელნი მამების გაჭირებულ მდგომარეობით, ამათი შვილებისთვის გზა-დახშულობის გამო, რა უხვად იძლევიან, იქრთამვენ, უკეთ რომ ვსთქვათ, ისინი.

ერთი ნათელი მაგალითი, სხვა ურიცხვთა შორის: ქ—ის გიმნაზიაში არის ერთი ბუნებისაგან დამახინჯებული ქმნილება რომელიც მეტად დახელოვნდა მექრთამეობაში. რაღაც მანქანებით ამ გიმნაზიის მასწავლებელთა პედაგოგიურს რჩევაში დიდი გავლენა, წარჩინება აქვს ყოველ მის აზრს, წინადადებას. ბევრი მშობელნი ხედვენ ამას და ამიტომაც უძლევნიან ხოლმე მას ხშირად „წითელ ქაღალდებს“. ჰყიდულობენ შვილებისათვის ატტესტატს!!

ამ წინაზედ „დროებაში“ იყო ერთი წერილი, სადაც სწორედ ამ ხსენებულის გიმნაზიის დირექტორს უძლვნიდნენ დიდს მადლობას, რომ ამან აღუკრძალა თავის ხელ-ქვეით მასწავლებელთ ამ გიმნაზიის შაგირდების შინ მიღება და მზადებაო. ეს ძალიან კარგია, მაგრამ რომ ვერ ვხედავთ ამ ამბავს გამართლებულს!

—

დუნედ და ძლიერ ცუდად მიმდინარეობს ჩვენი ცხოვრება. ათობით, ოცობით ჩაგვირბენენ წელნი და ჩვენ დიდი არაფერი ცვლილება გვეჩვენება. დროთა ბრუნვამ ვერაფერი სასიკეთო დაღი დაგვადო ჯერ-ჯერობით.

რა არის მიზეზი? ჩვენ ვერ ვითვისებთ ამ სასიკეთო დაღებს, ვერ ვეკვრებით მათ თუ არ გვაღირსეს ისინი. რასაკვირველია, ბევრში გულ-ნაკლულად დაგვტოვეს, დაგვჩაგრეს; მაგრამ

ღუდელობა ხალხთან კარ-და-კარ ტარებას და პურის თხოვნა; სოფლის მაღაზიიდან უნდა ჩაიბაროს ხოლმე მღვდელმა შტატის ღებულება კოდი პური კომლზედ; მაგრამ რადგანაც ზოგი ერთი სამღვდელონი ისრე მტკიცეთ არიან მიჩვეულნი თხოვნას, რომ ველარ გადაჩვეულან, ისევ ისრე, როგორც წინეთ, გაიგდებენ წინ სახედარს და მიადგებიან კარზედ მეკომურის, პური მოგვეციო; მეკომურიც ვინ იცის მისცემს, თუ რას ეტყვის.

„მღვდლის ტარება მრევლის კარზედ და თხოვნა პურისა ანუ სხვა რისამე ამცირებს სამღვდელოთ ღირსებას.

„ერთსა და იმავე სოფელში არიან რამდენიმე მღვდელნი; ზოგი, როგორც ზემოდ მოგახსენეთ, თითონ დაიარება კარ-და-კარ და ჰკრეფს პურს და ზოგი კი ეუბნება მამასახლისს და ამბარდნებს, რომ მაღაზიაში შეკრიბეთო, როგორც მთავრობისაგან გაქვსთ გამოცხადებულიო. აქედან წარმოსდგება ხალხის არეულობა, ამ უკანასკნელს ეუბნებიან: ის მღვდელი არ არის, რომ თითონ დაიარება და ჰკრეფს პურსა, ჩვენ მაღაზიაში რათ გვაზიდინებ? მე კი არ გაზიდვინებ, ეუბნება, მთავრობამ ესრეთ ინება.

— მარტო შენთვის?

— არა, სუყველასთვის.

— მაშ ის რათ ჰკრეფამს?

„აბა აქ რაღა პასუხი მიეცემა, აქედამ წარმოსდგება უსიამოვნობა მღვდელსა და მრევლს შუა.

„როდის იქნება გველირსოს ის დრო, რომ ეს მღვდლისა და მრევლის ერთმანეთის შემაძულებელი შტატის დებულება იქმნეს ფულზედ გარდატანილი და ყოველნი სამღვდელონი ერთნაირათ მიიღებდნენ ხოლმე ხაზინიდამ.

## „დროების“ კორრესპონდენცია

—

კახი, 27 ენკენისთვეს. დიდის სიამოვნებით წავიკითხეთ გაზეთის „დროების“ 298 №-ში დაბეჭდილი წერილი ზაქათალის მაზრიდგან შესახებ კახისა. გვეგონა ღმერთმაც დაგვივიწყა, და კაცთა სამართალმაცაო; გვეგონა მამასახლისის სულხაი პაჩხატიშვილის ხელში სული ამოგვძვრებაო და ხმის ამომღები და ჩვენი დამცველი არავინ იქნებაო. მაგრამ მადლობა ღმერთს, ქვეყანაზე კიდევ ყოფილა კაცი, რომელსაც შესტკივა თურმე ჩვენთვის გული, და ჩვენს მეტად უნუგეშო და შეწუხებულ მდგომარეობას ატყობინებს ქვეყანას თქვენის გაზეთით. ძალიან მოხარულნი ვართ, ძალიან!

მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ დალოცვილს მთლად არ შეუტყობინებია ჩვენი სამწუხარო მდგომარეობა. დღეს კახში ისრეთი ცოდვა და უსამართლობა ტრიალებს, რომ გვიკვირს, რად დაგვტოვეს ასრე უპატრონოდ და მიგვცეს მამასახლისის ცარცვა-გლეჯასა. ღვთის წინაშე უნდა სთქვას კაცმა, რომ ერთხელად აწერა ყველა ჩვენი ტანჯვისა და მწუხარებისა არც შეიძლებოდა, ისეთი დიდია ეს მწუხარება.

დიდად მწარეა ჩვენი ცხოვრება კახის ნაიბისა და მამასახლისის ხელში! ჩვენთვის არ არსებობს არც კანონი და არც სამართალი. არ ვიცით, ისეთი რა შევსცოდეთ ღმერთსა, რომ მარტო ჩვენ გვახდევინებენ კახის სანაიბოს ბეგარას, გვაწევინებენ ყარაულობას და გვაკეთებინებენ ფოშტის გზებს, რომელიც მთელმა სანაიბომ უნდა გააკეთოს? რადგან კახის სანაიბოს (უჩასტკას შეადგენს 30 დიდრონი სოფლები, რომლებშიაც, საშუალო რიცხვით, ზედი-ზედ, რომ ვიანგარიშოთ, თითოში, 300 კომლზე თუ მეტი არა, ნაკლები მცხოვრებლები არ სადგურებენ,—სამართალი მოითხოვს, რომ ყველამ ამ სოფლების მცხოვრებლებმა თანაბრად გასწიონ ადგილობრივი ხარჯ-ბეგარი, რომელიც სანაიბოს შეხვდება წლის განმავლობაში.

მაგრამ ამ გვარს სამართალს ჩვენ ვინ გვალირსებს! კახის ინგილოები არასოდეს არ ყოფილან ისრე დაჩაგრულნი და გალარიბებულნი, როგორც ეხლა არიან. უწინ ის ყველასა სჯობდა სიმდიდრით მთელს მაზრაში. ახლა ყველაზე ნაკლებია, რადგან უჩასტკის ნაიბი ამ სოფელში სცხოვრებს, ყოველი ჯაფა, ხარჯი და ბეგარი ჩვენ გვადგა, და უსამართლობა და ცემა-ტყეპაც ჩვენშია.

კაცი იფიქრებს, რომ სადაც სოფელში სასამართლო არის, იქ უფრო წესიერება და სამართალი უნდა სუფევდესო; მამასახლისები, სუდიები და გზირები თავიანთ ავან-ჩავანით ვერ უნდა ბედავდნენ ხალხის შეწუხებასო. მაგრამ სამწუხაროდ ეს ასრე არ არის. არ ვიცით, რა დაჰმართნიათ მოსამართლეებს? რათ დაავიწყდათ თავიანთი მოვალეობა წინაშე კანონისა? არამც თუ მარტო კახის მამასახლისს დაჰვიწყნია სიმართლე და კანონი, არამედ თვით განათლებულ ბ. კარპინსკისაც აღარ ახსოვს კანონი, სამართალი და კაცურად ქცევა გაუნათლებელ ხალხთან. სადაც ის დაუსჯელად უსამართლოდ იქცევა, აბა რასაკვირველია, რომ იქ მამასახლისი კარგად და კანონიერად არ მოიქცევა. მათ თვით-მნებელობას არა აქვს საზღვარი. მათს წინაშე ვინც თავის მართლებას დაიწყებს სამართალში, იმას ან გვერდებს ულეწავენ ყაზახური წალებითა და ჭუჭყიანი მუშტებით, ან სატუსაღოს აჩვენებენ. ჩვენ არ ვიცით, აქვს მას კანონით მინიჭებული უფლება, რომ ყველას წიხლებით გვერდები ულეწოს, თუ არა?

10 სექტემბერს იმან დაიჭირა ბალაჯა ტარტარაშვილი, ჯერ სატუსაღოში ჩააგდო, მერმე გამოიყვანა და გასამართლება დაუწყო. მან თავის მართლება რომ დაიწყო, წააქცია, შესდგა ზედ და წიხლებით იმდენი სცემა, რომ ცოცხალ-მკვდარი წაიყვანეს პატრონებმა სახლში. ცემისაგან დალურჯებული ავადმყოფი თავისიანებმა წაიყვანეს ზაქათალაში და იჩივლეს ნაჩალნიკთან; დოქტორს შეამოწმებინეს და გაგზავნეს ისევ კახში. მაგრამ ბ. კარპინსკიმ ძალიან იწყინა, როგორ გაუბედეს მას ჩივილი, დაიჭირა ისევ ბალაჯა და გაგზავნა ზაქათალაში ტუსაღად, სადაც ის ეხლა იმყოფება. ალბად დიდი ვინმე უნდა იყოს ის, რომ ნება აქვს უსამართლოდ სამ-ნაირად დასაჯოს კაცი, რომელიც მის მრისხანებას გამოიწვევს.

ამავე დროს სულ ცუდ-უბრალოდ დასაჯა კიდევ სხვანიცა. მაგალითად მემრე ტარტარიაშვილი, ზორბა, ზაქათალაში დაატუსაღა. ამის ბრალი მხოლოდ ის არის, რომ თვითონ ბ. კარპინსკი ერთს სტუმრობაში კარგა რიგიანად შეზარხოშდა, სახლში ფეხით ველარ წავიდა, მოითხოვა სოფლით ცხენები თავისთვის და თავის მწერლისთვის, შებრძანდა და მივიდა ახლა სხვაგან სტუმრად; იქ კიდევ სვა-ჭამა, დასტოვა აქ ეს ცხენები და ახლა სხვაზე შებრძანდა და წავიდა სახლში. მოხსენებული ზორბა მაშინ მასთან იასაულად იყო. როცა მიდიოდა, ისიც თან გაიყოლა და ცხენები პატრონებს არ ჩააბარა. ღამით ისინი მოიპარეს და ქურდი დღესაც არ იციან. რადგან ამ საქმეში თვითონ არის გარეული, ამისთვის ვერ გაბედა მათი სოფლისათვის ზღვევინება, და უბრძანა ზორბას, შენ ზღვეო. იმან, რასაკვირველია, უარი უთხრა. აი ამისთვის არის ეხლა ის დაჭერილი.

ამ უკანასკნელს დროს ამ ვაჟბატონს უნდა, რომ დაამტკიცოს თავისი ადმინისტრატიული გამჭრიახობა და ძლიერ უპრაგონოთ იქცევა, ღელავს, შფოთავს. ჩვენ არასოდეს არ დავიჯერებთ, რომ კანონი მას ნებას აძლევდეს ხელმწიფის ერთგული და მოხარკე გლეხები დაწიოკოს და სცემოს.

გარდა იმისა იმ საწყალს ამ ჟამად რაღაცა მოჰლანდებია: შიშობს იქ, სადაც სრულიად შიში არ არის. სოფლიდგან სამ-სამი კაცი ღამით მუდამ ყარაულათა ჰყავს. არ ვიცით, აქვს ამას ნება თუ არა? თუ მაინცა-დამაინც მისთვის ყარაული საჭიროა, რატომ თავის იასაულებს არ იყარაუ-

---

რაც მოგვანიჭეს, რომ ვერც ის ვიგემეთ. ძველ საკეთილ-დღეო მოვლენას, შეუძლებელია არ ამოუჩნდნენ ჩვენში ისეთი უპირონი, რომელთაც ჰსურთ, საუკეთესოდ აქციონ. დავკარგეთ ერთ-პირობა!

ნუ თუ არ უნდა ვდევნოთ ჩვენ ეს უპირონი, რომელნიც ხელს უშლიან, ფრთებს აკვეცენ ჩვენს წარმატებას! თბილ კუთხეში მიმალულან და მათზე კიდევ უფრო თბილ კუთხეებში მყოფთ მოუთხრობენ ჩვენ ვითომ—ორ-პირობაზედ განდეგილობაზედ და ჩვენზედ დაუნდობელობაზედ.

დიაღ უნდა ვდევნოთ, ვდევნოთ, მაგრამ.... ეჰ, მაგრამ, მაგრამ, ჩემო მაგრამ! რა სუსტი ხასიათის, გაუბედავი ყოფილა ის არსება, რომელმაც შენ წარმოგთქვა პირველად და შენი თავი გვიანდერძა ჩვენ! რაც უნდა ადვილად გამოსაქანდაკებელი საქმე დავიწყოთ უ-მაგრამობა არ შეიძლება.—ცოცხალ ვართ, ვმოქმედებთ, ვსვამთ, ვჭამთ—მაგრამ და სულ მაგრამ....

„დრონი მეფობენ“.... მეცხრამეტე საუკუნემ მაგრამობა მოგვანიჭა—ერთპირობა, მხნეობა, გამბედაობა გაგვიქარწყლა. ჩვენვე შორის ზოგიერთ ჩვენ მოძმეთ დაადო დაღი უკუღმართობისა და ჩვენზედვე აალაშქრა.

ჩვენმა პოეტმა სთქვა:

ნაშთი ჩვენი ძველ-დიდების
დღეს ღრმად არის დამარხული
ზეზეულად დაგვრჩა მხოლოდ
ქართველური წმინდა გული....

მშვენიერი სიტყვების დაბოლოებას ჩვენ თანამედროვე საუკეთესო პოეტისა ვერ ვამართლებთ ქართველობის ნახევარი ნაწილიც.

სხვა არის ჩვენი გულის წადილი უკუღმართობას ვეწევით, ვაი და ვუით ვმასპინძლობთ ერთმანეთს.

ვინ მოსთვლის ჩვენ საჩივარს, სამგლოვოს, სავალალოს? სხვა რამ სიკეთე გვიბრძანეთ, თორემ ამეებით ხომ სავსეა ჩვენი „გმირთა აკლდამა“

ვინ მოსთვლის, რამდენი ზარალი ეძლევა ჩვენში საქმეს უადგილო მიბაძვით.

ახალი ძალა, სანამ ცოტაოდნად მაინც ვერ გაუმაგრებია მას ფესვები, ვერ იქს ძველისა და მკვიდრი ძალისოდენს. აქ არც უთაურ მიბაძვას და არც კადნიერებას ალაგი არ უნდა ჰქონდეს.

ვინ იტყვის, რომ ჩვენი სურვილია, დაგვლამებოდეს იმათზე, რომელთაც დღემდის გზა ნათელისა უკვლევიათ ჩვენში. მომავალი უფრო მეტს მნათობთ ითხოვს, და ღმერთმა მომავალში უკეთესთა სხივთა მომფენნი მოანიჭოს ჩვენს დაჩაგრულს ქვეყანას და ერს. მაგრამ, „მოყვარეს პირში უძრახვენო...“, მეც ამ თქმულებას დავემკვიდრები და ვიტყვი:

ჯერ-ჯერობით „ახალ-ძალას“ ნაკლებად ვხედავთ ჩვენში, ისევ იმათზე დაგვლამებია და ბედი ჩვენი, რომ ამ შემთხვევაში მაინც ძნელი ღამე არ ჰმოსავს ჩვენს ქვეყანას. ბადრი მთოვარით და კაშკაშ ვარსკლავებით ნათელია ეგ ღამე! და ჩვენ შეურყეველის იმედით მოველით, რომ, სანამ ამ მნათობ მკრთალი ნათელი გადაეფინებათ, მანამ ახალი სხივთ-მომფენი დაებადება ჩვენს ქვეყანას...

მაგრამ.

ლებს? რას აკეთებენ ისინი? რათ აძლევს სოფელი მათ ჯამაგირს?

მაგრამ უკაცრაოდ! 12 კაცში იმას ერთი პოვრათა ჰყავს, მეორე პრაჩკად, ერთი-ორიც წიგნების მატარებელად, სხვებში კი აღარ საჭიროებს და მათს ჯამაგირს საკეთილ-საქმოდ ინახავს.

თუმცა ისეთი კეთილი მოსამართლე ბრძანდება ეს კაცი, მისი მაინც მადლობელნი არიან ყველა მოხელეები. რათაო? იკითხავთ. მისთვის, ბატონო, რომ ის ცხენს და ურემს ბეგრით არავის უჭერს უსასყიდლოდ, თუ ეწვევა ვინმე მოხელეთაგანი სტუმრად; ასე გასინჯეთ, რომ სოფლიდგან უფულოთ კვერცხს, ერბოს, რძეს, და, თუ საჭიროა, ბზესა და ბალახსაც უშოვის ხოლმე, რადგან ხალხი დაშინებული ჰყავს და უარს ვერ უბედავენ. მამასახლისიც თავისი გულისა ჰყავს! რადგან ნათესავები არიან, ერთმანერთს ძალიან ესარჩლებიან. თუ ვინმემ ხმა ამოიღო, ყველას მოღალატედ, ქურდად და ავაზაკად რიცხვენ...

ბეგლარ-ბეგი.

## ტფილისის სამკურნალო.

ავადმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს.** გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავადმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღ. ს სუსტის ავათმყოფობისა.


## განცხადებანი

პატივი მაქვს ვაცნობო ტფილისში მობრძანებულთ მოვაჭრეებთა, რომ ამ წლის 1-ის ოკტომბრიდგან მე ავიღე იჯარით სიონის სობოროს პირ-და-პირ ბ. ონანოვის ახალი ქარვასლა, რომელშიაც ვაწყობ ნომრებს რკინის კრაოტებით, ფეჩებით და ყოველი მოწყობილება იქმნება სუფთად.

ფასი იქმნება იმავე წესით, როგორათაც სხვა ქარვასლებშია, იმავე რიგად, როგორადაც მქონდა პორხმაზის ქარვასლა იჯარით.

ამავე ქარვასლაში იმყოფებიან შუაეტაჟში № 48 კომმისიონერი გ. ია. რატიანი და ყ. ი. ჩიქოვანი.

მოიჯარადრე მეორე გილდი
გევორქ ვარლამის-ძე ახნაზაროვი.
(10—7)

---

ექიმი რეიხი
დაბრუნდა ქალაქში.
თვალებით ავად-მყოფების
მიღება შეიძლება უწინდებრივ არსენალის ქუჩა (წმ. დავითის მახლობლად), სახლი № 17. (3—2)

---

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში
**თამარ დედოფალი**
შედგენილი
კ. ბ—შვილისაგან
გამოცემა
ზაქ. ჭიჭინაძისაგან
ფასი ერთი აბაზი.

---

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში
**ერობა**
თხზ. ნ. ნიკოლაძისა
გამოცემული
ზ. ჭიჭინაძისაგან
ფასი 15 კაპ.

---

ახალი ქართული
**კარაბადინი**
ისყიდება ტფილისში: შავერდოვის და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებში; ქუთაისში: მურადოვის და ჭილაძის წიგნების მაღაზიებში.
ფასი ყდიანის ერთი მანეთი.

---

ისყიდება
**ჩაი**
ძმათა კ. და ს. პაპოვების ნამდვილი ფირმისა გირვანქობით და ყუთებით.

ფასი გირვანქისა 1—40-მ. ვიდრე 3 მანეთამდის ათის პროცენტის დაკლებით—მანეთიდამ. არწრუნის ქარვასლაში, სიონის გვერდით ბ. ალხაზოვის კანტორაში. (6—5)

---

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში
**სახსოვარი**
ბატონიშვილის ალექსანდრეს-ძის ირაკლის გარდაცვალებაზე.
შეკრებილი და გამოცემული
ზ. ჭიჭინაძისაგან
ფასი ხუთი შაური.

---

ქართველ ქალებისაგან ნათარგმნი
[illegible]
წიგნი მეორე.
ისყიდება ტფილისში: შავერდოვთან, ჩარკვიანთან და გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ).
ქუთაისში: ჭილაძის და ნიკოლაძის მაღაზიაში.
გორში: მ. კერესელიძესთან.

---

დაიბეჭდა და გამოვიდა ახალი სომხური წიგნი
**მწყემსის სტვირი**
ლექსები, სიმღერები და ზღაპრები
ცნობის-მოყვარე ყრმათათვის
სკოლაში და შინ საკითხავად
ალაიანცისა
გამოცემა გ. მ. შავერდოვის გაზეთის სააგენტოსი.
ფასი ერთი აბაზი
(10—10)

---

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში
**მამულის**
**საერთო მფლობელობაზე**
თხზულება
ანტონ ფურცელაძისა
გამოცემული
ზაქარ ჭიჭინაძისაგან.
ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

---

დაიბეჭდა, გამოვიდა და ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში
**იგავ-არაკნი**
კრილოვისაგან და სიბრძნე-სიცრუიდგან გალექსილი თ. რ. ერისთვისა.

---

ისყიდება
ტფილისის წიგნის მაღაზიებში ახლად-გამოსული რუსულს ენაზე წიგნი.
**Грузинскія крестьянскія грамоты, крѣпостные и судебные акты, грамоты и письма грузинскихъ и персидскихъ царственныхъ особъ. (Матеріалы для исторіи древной грузіи).**
**сост. Д. П. Пурцеладзе.**
ქუთაისში ისყიდება ჭილაძეების მაღაზიაში.
ფასი ერთი მანეთი

---

## ტაქსია

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან ტფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 1 სეკტემბრიდამ 1 ოკტომბრამდის.

| | | |
|---|---|---|
| გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 3½ |
| მესამის „ | —1გირ. | — |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5½ |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 კ. |
| ჯვარის-მამის პური: | | |
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 6 კ. |
| მეორის „ „ | —1 გირ. | 5 კ. |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 4½ |
| ძროხის ხორცი: | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 8 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 7 კ. |
| სუკი — — | —1 გირ. | 14 კ. |
| ცხვრის ხორცი | 1 გირ. | 9 კ. |
| ღორის ხორცი: | | |
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | — კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | — კ. |

---

გამოვიდა ცალკე წიგნათ
დრამა
**სამშობლო!**
ისყიდება შავერდოვის სააგენტოში.
ფასი 60 კაპ. (20—20)

---

### ბიბლიოგრაფიული განცხადება.

**ბუნების კარი**, ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი უმცროსს კლასებში სახმარებელი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა მეოთხე შეცვლილი გამოცემა და ისყიდება გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, კუკიის ხიდის ყურთან. ფასი თხუთმეტი შაური. სასწავლებლებს და კერძო პირებს, რომელნიც იყიდიან ნაღდს ფულზედ ერთად თხუთმეტს ეგზემპლიარსა, ანუ მომეტებულსა, დაეთმობა ეგზემპლიარი თოთხმეტ შაურად; ვინც ოც-და-ათს ეგზემპლიარს იყიდის, წიგნი მიეცემა ცამეტ შაურად. ყდისათვის უნდა დაემატოს სამი შაური.

**კარტა საქართველოსი**, მეორე შევსებული გამოცემა; ისყიდება იმავე მაღაზიაში. ფასი სამი აბაზი; ვინც ათს ეგზემპლიარს იყიდის, კარტა მიეცემა თერთმეტ შაურად, ოცი ეგზემპლიარის მყიდველს—ათს შაურად.


*Дозволено цензурою. Тифлисъ, 30 Сентября 1882 г.* *Типографія Меликова* გამომცემელი ს. მესხიშვილი. რედაქტორი ს. მესხი